ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №71-ში დამხმარე-ტექნიკური შენობის დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

პროექტის შემადგენლობა

1. განმარტებითი ბარათი
   - 1.1 სადემონტაჟო შენობის აღწერილობა
   - 1.2 სადემონტაჟო სამუშაოების დახასიათება
2. დემონტაჟის სამუშაოების კალენდარული გრაფიკი
3. ობიექტისა და ფოტოფიქსაციის წერტილების განთავსების სქემა
4. არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაცია

განმარტებითი ბარათი

სადემონტაჟო შენობის აღწერილობა

ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №71-ში მდებარე სადემონტაჟე დამხმარე-ტექნიკური შენობა განთავსებულია შპს მერიდიანი 2007-ს საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.17.12.005.014.

შენობა მდებარეობს გამზირთან მომიჯნავე საზოგადოებრივი საზღვრიდან (წითელი ხაზიდან) 20 მეტრის მოშორებით, ტერიტორიის სიღრმეში.

სადემონტაჟო ნაგებობა წარმოადგენს მართკუთხა ფორმის ერთსართულიან უსარდაფო ქვის შენობას.

შენობა დასავლეთის მხრიდან ზედ ნაკვეთის საზღვარზეა განთავსებული და ამ მხრიდან მას ემიჯნება ჩიხური გზა.

ჩრდილოეთიდან ნაკვეთის თავისუფალი ტერიტორიაა, ხოლო 20-25 მეტრის დაშორებით - ქეთევან წამებულის გამზირის მომიჯნავე საზოგადოებრივი საზღვარი.

აღმოსავლეთიდან შენობას ასევე ესაზღვრება თავისუფალი ტერიტორია და 4-5 მეტრის დაშორებით იგივე მესაკუთრის მფლობელობაში მყოფ ნაკვეთთან არსებული სამეზობლო საზღვარი.

სამხრეთიდან ნაწილობრივ თავისუფალი ტერიტორიაა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში ნაგებობა ემიჯნება ასევე ერთსართულიან დამხმარე-ტექნიკურ შენობას.

შენობის კედლები და შიდა ტიხრები აშენებულია ქვითა და ბლოკით. შიდა და გარე კარ-ფანჯრები ხისაა. ნაგებობას აქვს ორქანობიანი სახურავი ხის კონსტრუქციაზე მოწყობილი თუნუქისა და ასბესტოცემენტის ფილების შერეული საფარით.

<u>სადემონტაჟო სამუშაოების დახასიათება</u>

შენობა განეკუთვნება II კლასს. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57დადგენილების 61-ე მუხლის 2.ბ.ა) პუნქტით სამუშაოები უნდა შესრულდეს მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 ეტაპად.

თანდართული კალენდარული გრაფიკის შესაბამისად, სადემონტაჟო სამუშაოების შესრულება გათვალისწინებულია 3 ეტაპად:

I ეტაპი – სახურავის დემონტაჟი და გატანა

II წტაპი – კარ-ფანჯრებისა და არამზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი და გატანა

III ეტაპი – მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი და გატანა

კალენდარული გრაფიკის შესაბამისად, სამუშაოების საერთო ხანგრძლივობა შეადგენს 1 თვეს.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას, სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველსაყოფად, საჭიროა, ზედმიწევნით დაცული იქნას სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული ყველა პუნქტი СНиП - III - 4 – 80.

სამხრეთ-დასავლეთით არსებული მომიჯნავე შენობის მიმდებარედ, სამუშაოები შესრულდეს ხელით, მომიჯნავე შენობის მზიდი კედლების დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

ყველა ტვირთამწე მანქანა და მექანიზმი, აგრეთვე ელექტროფიცირებული ხელსაწყოები და მექანიზმები უნდა იქნას დამიწებული. ამწის გამოყენების შემთხვევაში, ამწის მოქმედების ზონიდან გაყვანილი იქნას ყველა.

შემსრულებელი გიორგი კერესელიძე

ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №71-ში დამხმარე-ტექნიკური შენობის დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

შესარულებელი სადემონტაჟო სამუშაოების კალენდარული გრაფიკი

№	სამუშაოს (ეტაპის) დასახელება	სამუშაოს ხანგრძლივობა (დღე)									
		3 – 1	6 – 4	9 – 7	12 – 10	15 – 13	18 – 16	21 – 19	24 – 22	27 – 25	30 – 28
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	*შენობის სახურავის საფარისა და სახურავის ხის კონსტრუქციის ელემენტების დემონტაჟი, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე და გატანა*										
2	კარ-ფანჯრების, ჭერისა და იატაკების ხის კონსტრუქციებისა და საფარების, შიდა არამზიდი ტიხრების დემონტაჟი, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე და გატანა										
3	შენობის შიდა და გარე მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი, მეორადი მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე და გატანა										

სამუშაოების საერთო ხანგრძლივობა 1 თვე

ობიექტის განთავსების და ფოტოფიქსაციის სქემა




1 - 25.02.2014


2 - 25.02.2014


3 - 25.02.2014


4 - 25.02.2014


5 - 25.02.2014